**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | „ . . | 9 „ 50 „ |
| 10 | „ . . | 8 „ 75 „ |
| 9 | „ . . | 8 „ — „ |
| 8 | „ . . | 7 „ 25 „ |
| 7 | „ . . | 6 „ 50 „ |
| 6 | „ . . | 6 „ — „ |
| 5 | „ . . | 5 „ 50 „ |
| 4 | „ . . | 4 „ 75 „ |
| 3 | „ . . | 3 „ 50 „ |
| 2 | „ . . | 2 „ 75 „ |
| 1 | „ . . | 1 „ 50 „ |

# ივერია

№ 220 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 220

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

შაბათს, 25 სეკდემბერს, დილის 10 საათზედ,

**მარიამ კონსტანტინეს ასულის ზუბალაშვილის**

(მამით რადზევიჩი)

გარდაცვალებიდგან წლის თავზედ გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზედ. (1—1).

---

კვირას, 26 სედემბერს, ქ. ქუთაისში, საფიჩხიის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ალექსანდრე თეიმურაზის ძის ნანეიშვილისა,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და პატივის-მცემელთ მეუღლე მისი და შვილები. (1—6—1).

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და სასოფლო-სკოლებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

---

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

**ზაალიშვილისა**

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში. (2—2).

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

პარასკევს, 23 სეკდემბერს,

წარმოდგენ. იქნება

## ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტომკევიჩი, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკი, კომაროვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**, პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 25 სეკდემბერს,

წარმოდგენილი იქნება

## ლაკმე

ოპერა 3 მოქმედ., მუსიკა დელიბასი.

კვირას, 26 სეკდემბერს

წარმოდგენილი იქნება

## დუბროვსკი

ოპერა 5 მოქ., მუს. ე. ნაპრავნიკისა.

[illegible] **რონი**, მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.**

---

## სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟნობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

ნათლიცი ქალი

## გვაზავა

გადავიდა ლორის მელიქოვის ქ. მესხიშვილის სახლში, № 18. 5—5

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 [illegible] გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. ქ. იოხელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

**გრ. მ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**მ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**გრ. მ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

მუკდენი.—იაპონიის სათადარიგო ჯარი.—შედარება ზარბაზნებისა.—წვრილი ცნობები.

მუკდენიდგან ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იუწყება 18 სეკდემბერს:

საოცარმა უკუქცევამ ლიაოიანიდგან, რაც მეტად ძნელი შესასრულებელი იყო, პონელების ჯარი, რომ [illegible] ჯარს ვეღარ დაედევნა, თუმცა რუსებზედ მეტი მეომარი ჰყავდა, და მხოლოდ მცირე რაზმები დააწინაურა რუსების უკანა ჯარის შესაწუხებლად.

სამაგიეროდ, დასავლეთის მხარეს იაპონელების ემისარები თავისუფლად მოქმედობენ ჩინელებისა და მონგოლების დაბა-სოფლებში დ ადგილობრივი მოხელენიც ჩუმად ეხმარებიან. გუშინ-წინ რამდენიმე მათი რაზმი, ხუნხუზებისაგან შემდგარი, ჩვენს რკინის გზებს დაეცა განჯულინის ჩრდილოეთად, მაგრამ ვერას გახდა და რამდენიმე კაცი კი დაჰკარგა. ისინი სამს ადგილს სცდილობდნენ შემოპარვას რკინის გზის ლიანდაგისკენ, სადაც ხიდებია, მაგრამ ჩვენმა მოსამზლვრე რაზმებმა ზარბაზნები დაუშინა, დიდად დააზიანა და გაჰფანტა.

ჯარმა შეისვენა და ძალა მოიკრიბა. რუსეთიდგან მოსული ჯარებიც კარგა გამოიყურებიან. ასევე არ ითქმის იაპონელების შესახებ. ყოველ ნაბიჯზე ისინი უძლურდებიან და დნებიან. ამაშია დიდი აზრი ჩვენის სტრატეგიულ გეგმისა. ჩვენ უკუქცევით იმათ ვამარცხვბთ და ვაუძლურებთ. მეომარნი ისე მხნედ და გულადად ვეღარ არიან, როგორც წინად.

ტყვეები სამაგალითო სიმტკიცეს ვეღარ იჩენენ. ძალა და ენერგია გაფანტული აქვთ მანჯურიის მინდვრებზე, სადაც იბრძვიან და წინ მოდიან.

ამბობენ, ჩინელები ძალიან მოწადინებულნი არიან დაიბრუნონ მუკდენი, თვისი მოსკოვი, და იქ თავისი ჯარი ჩააყენონ. მხოლოდ ეხლა მიხვდნენ, რომ იაპონელების ლაშქარი ცუდს მდგომარეობაშია.

ამას წინად ასეთი ამბავი მოხდა: იაპონელების ბატარეამ თივისი პოლკი ვერ იცნო, რუსისა ეგონა და ზარბაზნები დაუშინა. პოლკმაც იერიში მიიტანა თავის არტილერისტებზე და სულ ამოჟლიტა. დამნაშავენი სისხლის სამართალში მისცეს და 90 ჯარის კაცი სიკვდილით დასაჯეს.(რ. ს.).

—

იქიდგანვე გაზეთ «რუს. სლოვოს» შემდეგი დეპეშა მიუღია, 18 სეკდემბერს გამოგზავნილი:

ტყვედ წამოყვანილი იაპონელები სიმხნევეს არა ჰკარგავენ. რომელიც უფრო ინტელიგენტთაგანია, ყველა კითხვაზე ხალისიანად იძლევა პასუხს. ისინი ამბობენ, ომი საძნელოა ჩვენთვის, მაგრამ ვიბრძვით მიკადოს სურვილითო. ძალიან მოწადინებულნი არიან, რომ ომს მალე მოეღოს ბოლო და ირწმუნებიან, არც ჩვენ და არც მთელ იაპონიის ერს არავითარი მტრობა არ გვიძევს გულში რუსებისადმიო. იაპონიის ჯარის კაცებმა რიგიანად არ იციან არც ომის მიმდინარეობა და არც პოლიტიკური მდგომარეობა.

—

ფრანგულ გაზეთ «პატრიეს» ცნობები შეუკრებია იაპონიის სათადარიგო ჯარის შესახებ. როდესაც ომი გამოცხადდა, იაპონიას 1.500,000 კაცი ჰყოლია ჩარიცხული სათადარიგო ჯარში 18 წლიდგან ორმოცამდე. ჯარი გაწვრთნილი და დახელოვნებული არა ყოფილა, მაგრამ, ომი რომ დაიწყო, ყველა დაბა-ქალაქებში საჩქაროდ შესდგომიან საქმეს.

ომში დაჭრილი აფიცრები და უნტერ-აფიცრები მიუწვევიათ და მიუნდვიათ, შეამზადეთ სათადარიგო ჯარიო. სწავლების დროს ჯარში წასაყვანი კაცები თავთავიანთ სახლებში სცხოვრებენ და მხოლოდ დანიშნულ დროს იკრიბებიან.

ნახევარ წელში ახალი ჯარი ისე მომზადდა, რომ ომის ველზედ მუდმივ ჯარის დანაკლისს შეუმჩნევლად შეავსებს. (პ. ვ.).

—

მაიორი სოვაჟი ადარებს რუსისა და იაპონელების იარაღს და ამბობს, რომ აქამომდე იაპონელების იარაღს უპირატესობა ჰქონდა ომის ველზეო.

რუსის ზარბაზანი მძლავრია და მსწრაფლ-მსროლი, ხოლო მძიმე და ვაკეზე გამოსადეგი, სადაც კარგი გზებია. ეს ზარბაზნები ევროპიელებისთვის იყო დამზადებული, თუ ვინიცობაა რუსეთს აქ ვისთანმე ომი მოსვლოდა. საფრანგეთის ზარბაზნებიც ამგვარივეა, ხოლო უფრო მაგარი და მსწრაფლმსროლი.

იაპონელების ზარბაზნები კი საშუალო ძალისაა და უფრო მსუბუქი, და ... გზებისათვის ... ამისთანა ზარბაზნები ევროპიელების არტილერიაში არ მოიპოვება.

აქამომდე რუსეთსა და იაპონიას ისეთს ადგილებში ჰქონდათ ბრძოლა, სადაც გზები მოუწყობელია, და ამიტომ იაპონელებს თავისი ზარბაზნები ადვილად გადაჰქონდათ და კარგაც მოქმედობდნენ. ეხლა კი მოპირდაპირენი ვაკეზე გავიდნენ და რუსები თავის ზარბაზნებით უფრო კარგად იმოქმედებენ, ასე რომ, ამის შემდეგ რუსებს უპრატესობა ექმნებათ.

ამას გარდა, იაპონელები აქამომდე იმიტომ იმარჯვებდნენ, რომ იმათ რუსებზე მეტი ჯარი ჰყავდათ და ზარბაზნებიც მეტი ჰქონდათ. ეხლა კი ორთავე მხარე თითქმის გათანასწორდა, ზარბაზნები იაპონელებს თითქმის იმდენივე აქვთ, რაც რუსებს, და ამიტომ მოსალოდნელია, რომ რუსები გაიმარჯვებენ. (პ. ვ.).

# ტფილისი

—

*** ხვალ, შაბათს, 25 სეკდემბერს, ტფილისში მოასვენებენ პარიჟში ახლად გარდაცვალებულ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის გვამს. დაკრძალვა მოჰხდება ორშაბათს, 27 სეკდემბერს.

*** რადგანაც ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა არ დაამტკიცა ბ-ნი ივ. გ. რატიშვილი, სკოლის გამგე კომიტეტმა აირჩია ამ თანამდებობაზედ ამავე სკოლის რუსულ ენის მასწავლებელი ბ-ნი შიო ჩიტაძე, რომელიც 22 სეკდემბერს წარედგინა დასამტკიცებლად სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

*** შაბათს, 25 სეკდემბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო აუდიტორიის სადგომში, ქართულ სახალხო სექციის სცენის მოყვარულნი წარმოადგენენ ოსტროვსკის 5 მოქმედებიან კომედიას «შემოსავლიანი» ადგილი, ქართულ თეატრის მსახიობთა დახმარებით.

*** ოთხშაბათს, 22 სეკდემბერს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი შტალმეისტერი თავ. ობოლენსკი, სააქციზო სამმართველოს რევიზიის გათავების შემდეგ, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ბათუმში ხოლო იქიდგან სოჭას წავა, სადაც ამ ჟამად იმყოფება მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტტე.

*** დღეს, 24 სეკდემბერს, დანიშნულია სხდომა ხორცის დუქნების გამგე-კომისიისა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ხორცის დუქნების მომავალში არსებობის ბედი.

*** ამ წლის ნოემბერში დანიშნულია არჩევნები ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა, რადგან ახლანდელ მოქალაქეთა რწმუნებულთ მომავალ წლის 1-ლ იანვარში სამსახურის ვადა უთავდებათ.

*** უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოსაგან ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭომ მოწერილობა მიიღო სასოფლო მეურნეობის სწავლების შესახებ მეორე ხარისხის სკოლებში. მიიღო აგრეთვე თანაც წესდება. როგორც ამ წესდებიდანა სჩანს, ქართლ-კახეთის იმ მეორე ხარისხის სკოლებში უნდა ასწავლონ სასოფლო მეურნეობა, რომელთაც შეძლება აქვთ.

*** მოწერილობის თანახმად, ტფ. ქალაქის გამგეობამ შეატყობინა საგუბერნიო გამგეობას, რომ ამ ჟამად ქალაქში 8978 უძრავი ქონებაა, რომლებიდანაც ქალაქი იღებს დასაფასებელ გადასახადს 450,749 მან. 10 კაპ. ეს ქონება უკანასკნელ დაფასებით ღირს 600,099,880 მანეთადაო.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «შიო არაგვისპირელი», წიგნი მესამე. ეს წიგნი შეიცავს 247 გვერდს და ჰღირს 40 კაპ.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «კინტოს გოდება», ლექსები ანტონ განჯისკარელისა, გამოცემა შახ-ბარათოვისა, ფასი 5 კაპ.

# ხ ო ლ ე რ ა

—

ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 20 სეკდემბერს ხოლერით ავად გამხდარა 11 კაცი, 7 მომკვდარა.

—

ოფიციალურის ცნობებით, 14 სეკდემბერს მერვში (კასპიის მხარე) ჯარის კაცთა შორის ხოლერით ავად არავინ გამხდარა; მოქალაქეთაგან ავად გამხდარა ერთი, წინანდელიანად ავად არის 3. სხვაგან ყველგან მშვიდობიანობაა. 15 სეკდემბერს მერვის ჯარებში ავად არავინ გამხდარა. მოქალაქეთაგან ავად გამხდარა ერთი, ავადაა წინანდელიანად 4. რკინის გზის მსახურთაგან მორჩა 2, ავადაა 3, ბაირამ-ალში მშვიდობიანობაა. გეოქსიურიდგან თეჯენში მოიყვანეს ხოლერით ავადმყოფი ერთი ჯარის კაცი.

## † სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

(ნეკროლოგი)

ვინც თვის მამულზე მარად ფიქრობდა
და საშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული!

აკაკი.

სამწუხარო ამბავი მოგვივიდა პარიჟიდან ქართველობას: 14 სეკდემბერს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. ამ საზარელმა ამბავმა მთელი ქართველობა დაალონა, დაალონა მით უმეტეს, რომ სტეფანეს ასეთს უდროვო სიკვდილს არავინ მოელოდა. მისი ასე ადრე და მალე დაკარგვა წარმოსადგენადაც-კი ძნელი იყო.

ყოველივე ჩვენა გვღალატობს, თითქოს ცის რისხვამ ჩვენზედ მოიცალაო. ასეთი კაცი ჰყავდეს ქართველს, კაცი თავ-მოსაწონებელი მთელის ერისთვის, თავგამოდებული მისთვის, ღმრად წყურვიელი მისის სიკეთისა და ბედნიერებისა, ორის ხელით, თითქმის კალთით შემწირველი საქვეყნოდ სასარგებლო საქმეთათვის და უცებ-კი ხელიდან გამოეცალოს, სიკვდილმა უდროვოდ მოსტაცოს! განა ეს უბედურება არ არის? განა ეს სანაღვლელი არ არის ყველასათვის, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისა და მის საზოგადო საქმისათვის?! გული გვწყდება და გონებას არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, რომ ჩვენი ძვირფასი სტეფანე აღარა გვყავს.

ქართველი ერი დაობლდა საუკეთესო მამულიშვილის დაკარგვით. დღეს სტეფანე გულ-ხელ-დაკრეფილია, მისი ენა და ბაგე დადუმებულია, ჩვენი ჭირი და ვარამი აღარ აწუხებს ნაცვლად ამისა, ჩვენა ვართ ახლა გულ-ჩათუთქულნი, სულშეჰუხებულნი; დაობლებულთ. ვინ ვიტიროთ და ვიდარდოთ: სტეფანე თუ ჩვენი საქმენი, მის თანაგრძნობასა და უხვ დახმარებას მოკლებული? ერთიც დავკარგეთ და მეორეცა.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1860 წ. ქ. ტფილისს. დედა სტეფანესი ელისაბედ იყო თავ. თუმანიშვილის ასული, წარჩინებული მანდილოსანი და დიდად სათნო ადამიანი. სხვა შვილებთან ერთად სტეფანეც მისის გავლენის ქვეშ იზრდებოდა.

სტეფანე პირველად შინ სწავლობდა და მერე გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც დაამთავრა სწავლა. მოწაფეებში ითვლებოდა ერთს უწარჩინებულეს შეგირდათ. მისნი ტოლ-ამხანაგნი დაამოწმებენ, რა საოცარი კარგი ამხანაგი იყო სტეფანე, რა თავაზიანი და მოსიყვარულე. მაღალი ადამიანური სიბრალული და მამულიშვილობა მაშინვე ემჩნეოდა თურმე.

შეგირდობაშივე იჩენდა სათნო თვისებას და ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო, გაჭირვებულსა და უქონელს ამხანაგს. გული ვერ მოუთმენდა, რომ ასე თუ ისე არ შესწევნოდა, დახმარება არ აღმოეჩინა, ისეთის მადლიანის ბუნებისა იყო და ეს ბუნება აღარ შესცვლია სიკვდილამდე.

სწავლის დამთავრების შემდეგ, სტეფანეს მამის, კონსტანტინე იაკობის ძის, საქმეები ისე მოეწყო და ბაქოში ნავთის წყაროების გარემოება ისე დატრიალდა, რომ სტეფანე, როგორც შინ მყოფი და საჭირო, მამამ პირდაპირ ბაქოში წაიყვანა და თავის ნავთის საქმეებში ჩააყენა. იმ დღიდამ სტეფანე ბაქოს დარჩა. ოც წელიწადზედ მეტი ხანი იცხოვრა იქ და განაგებდა ნავთის წყაროების საქმეებს.

სტეფანე კონსტანტინეს ძის მოქმედება ნავთის წყაროების საქმეში სამაგალითო და საყურადღებოა. ჩინებულად მოაწყო და მოაწესრიგა ის საქმიანი მოშაბის მდგომარეობასაც დიდს ყურადღებას აქცევდა და მთელი ჯარი მათი მადლობელი და მომადლიერებული ჰყავდა. ისე კარგად, ისე ადამიანურად ექცეოდა, რომ იმ დროს, როცა ბაქოში არ დარჩა არც ერთი ქარხანა, სადაც უწესოება არ მომხდარიყო, დავა არ აეტეხათ პატრონთათვის, მის ქარხანაში სიტყვაც არავის დაუძრავს. ასეთი სიბრალული ჰქონდა მუშებისა და ასეთის ყურადღებით ეკიდებოდა.

თუმცა დიდის შეძლების პატრონი იყო, მაგრამ ცოლშვილიანობას არ მოჰკიდებია. ალბად, გარემოებამ არ მისცა ნება და ხელი არ მოუმართა ერთხელა სთქვა:

— რა უყოთ, რომ ასე დავშთიო. როცა დრო მქონდა, სხვა და სხვა გარემოებამ შემიშალა ხელი. დედაჩემს კი ძრიელ სურდა ჩემი დაცოლშვილიანება; მერე, რაკი დედაც გარდამეცვალა (1896 წ.), მეც დავუტევე ეგ ზრუნვა და დავრჩი მარტო-ხელიო.

ცხოვრებაში განსვენებული სამაგალითო კაცი იყო, ყოვლად სათნოიანი და ღვთის მოსავი. მისი ტკბილი ლაპარაკი, მისი უზაკველი სული და გული კაცს აღტაცებაში მოიყვანდა. მისი ყოველი ნაბიჯი და ყოველი სიტყვაც კი ადამიანურის ღირსებით იყო სავსე. ისეთი უწყინარი კაცი იყო, რომ, არა გვგონია, ვისმე გული სტკენოდეს რითიმე მისგანა.

თუ ეხმარებოდა ვისმე, შემწეობას აძლევდა, სცდილობდა არავის გაეგო. ამ შემთხვევაში სწორედ სახარების სიტყვებს ასრულებდა: არ იცოდეს მარჯვენამან, რასაცა გასცემდეს მარცხენეო. თვითონვე უთქვამს ჩემთვის: „ყოველი კაცი მოვალეა თავის ძმათა, მეგობართა და გაჭირებულთ დაეხმაროს, გამჩენის რა საჭიროა. სამთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს. კაცმა კაცს სიკეთე იმიტომ კი არ უნდა უყოს, რომ მერე აქონ და ადიდონ. არა, ქება საჭირო არ არის. ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ, უშველოთ და ამიტომ მოხარული ვიქნები, თუ ჩემ შესახებ გაზეთებში არა იქმნება-რა დაწერილი ქების სახითაო.

ბევრს კეთილ საქმეს აკეთებდა განსვენებული, დიდს მადლს სთესავდა ჩუმად, საიდუმლოდ, ბუკისა და ნაღარის დაუკვრელად და უფრო ბევრის სიკეთის დათესა ედო გულში, რომ პატარა მეტი ეცოცხლა. 1902 წ. მისის ცხოვრების შესახებ დავბეჭდე ერთი წიგნი, რომელიც ეხლა მეორედ იბეჭდება. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მითხრა:

— ცოტა მოითმინეთ, ამ წიგნს ბევრის ცნობებით შეავსებთ; ჯერ მე რა გამიკეთებია? არაფერი. შემდეგ იქმნება ყოველივე ის, რის მოვალეცა ვარ, რომ ჩემ წილად ჩემის ქვეყნის წინაშე გავაკეთო. ყოველს ჩვენთაგანს ვალად აძევს თავის სამშობლო ქვეყნის შენობაზედ თითო აგური მაინც დასდოს. ჩემს წილს აგურს მეც მოვიტან და ჩემს ვალს გადვიხდი.

საქართველოსა და ქართველ ერის სიყვარულით უძგერდა გული. ქართველ ერის ყოველი ბედნიერება ენატრებოდა. წელს აღტაცებული იყო ბაქოში ქართულად „ღალატის“ წარმოდგენით. დიდად ემადლიერებოდა სუმბათაშვილს. ბაქოში იყო ამას წინად და საყვედური ვუთხარიო, სთქვა, რომ ქართველის ერის ცხოვრების შესახებ არაფერს სწერო. სუმბათაშვილი დამპირდა, ახლა ვწერო და შემდეგაც დავსწერო. იმ დროს თურმე «ღალატი» დაწერილიც ჰქონოდა. ამ წარმოდგენამ ისე ასიამოვნა, რომ იმავ დამეს ქართველ მსახიობთ 506 მან. გაუგზავნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსვენებული არ არჩევდა არავის ტომობასა და ჩამომავლობას. განურჩევლად აძლევდა დახმარებას: რუსს, სომეხს, თათარს და ქართველს. შეუძლებელია, მიემართნა ვისმე დახმარებისათვის და ხელცარიელი წასულიყო. შარშან ერთი ქართველი მოღვაწე მისულიყო და მიღება ეთხოვა, მაგრამ სტეფანეს ავადმყოფობის გამო ვერ მიეღო. ამაჴედ შემდეგ სტეფანემ ბოდიში მოიხადა, ავადმყოფობის გამო ვერ მივიღე, მომიტევოსო.

აქ აღარას ვამბობთ იმისას, რაც ქვეყანამ იცის. მისი შეწირულება სათავადაზნაურო სკოლისათვის, სწორედ მეფური შეწირულება იყო და ამისთანა უხვი გაღება ქონებისა ჩვენში ჯერ არ მომხდარა. უხვი და სწორედ სასახელო საბოძვარი იყო აგრეთვე ... საზოგადოებისათვის და სხვა მრავალი, რაც მან გასცა თავის ძმებთან ერთად საქვეყნო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთია, მაგალითად, გაცემა უხვებისა საერო სახლის ასაგებად ტფილისში მამის კონსტანტინე იაკობის ძის სახსოვრად, კათოლიკეთა ეკლესიის ასაგებად ბათუმში და სხვ.

დაკარგვა ასეთის კაცისა ჭეშმარიტად დიდი დასაკლისია ჩვენისთანა პატარა, ღარიბ და უკან ჩამორჩენილ ერისათვის, დიდი საერთო, ნაციონალური უბედურებაა, ყველასთვის საგლოვი და სატირელი.

საუკუნოდ იყოს ხსენება იმისთანა გულწრფელ, გულ-მართალ და გულ-უხვ ადამიანისა და მამულისშვილისა, როგორიც იყო განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი!

ფ. ჟ.

# საქართველოს ამბავი

—

**ჭიათურა.** 16 სეკდემბერს ადგილობრივ სათეატრო დარბაზში მოხდა კრება მომავალ ჭიათურის საზოგადო სავაჭროს გამგეობის ასარჩევათ. ბ-ნ პ. ცაგარლიშვილს გაუგზავნია საზოგადო სავაჭროს წესდება ბ-ნ გუბერნატორთან დასამტკიცებლად, რომელიც უკვე მიუღია დამტკიცებული: გამგეობის წევრებათ, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, საქმის მოსაწყობათ აირჩიეს: ბ-ნი გრახოვსკი (კასირი რკინის გზისა), ს. დ. ჯაფარიძე, (ექიმი ადგილობრივ საავადმყოფოსი) პ. ცაგარეიშვილი (მოვაჭრე), შატილოვი (საბჭოს ინჟინერი), ი. ყიასაშვილი (საბჭოს ტეხნიკი), ლ. ჩაჩავა (ისიც საბჭოს ტეხნიკი), ნ. ოთხმეზური (შუტც-ციმერმანის კანტორის გამგე), ნ. ოტრანი (პანჟიეს კანტორის გამგე) კ. აბაშიძე (დირექტორი ბანკისა), ი. დეკანოზიშვილი (ტეხნიკი), პ. აბაშიძე (ვაჭარი), და კ. მოდებაძე (ტეხნიკი). ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“, იმისი არ იყოს, თუ მოინდომებენ ზემოთ დასახელებულნი კი შეუძლიანთ საქმის მოგვარება, თუ, რასაკვირველია, ჩვეულებრივმა სენმა—უენერგიობამ, და ცარიელ სიტყვების რახა-რუხმა არ იჩინა თავი, მაგრამ, ჯერ ამაზედ ლაპარაკი არ ღირს, რადგან, ვინ იცის, როგორ ენერგიას გამოიჩენენ ზემოდ დასახელებულნი. ჩვენც ვუსურვებთ,—მალე და კარგად დაეგვირგვინებიოსთ ეს სიმპატიური საქმე.

აქაური.

—

**ტობანიერი.** ხუთშაბათს, 17 სეკდემბერს, დილის ათ საათზედ ჩვენს სოფელში მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ალექსი ალექსიძე სმაგინი, რომელსაც თან ახლდნენ ქუთაისის მაზრის უფროსი თ-დი ჯ. დადეშქელიანი, მომრიგებელი შუა-კაცი თ-დი პ. ერისთავი, საგანგებო მინდობილებათა მოხელე თ-დი ნ. ლორთქიფანიძე, თარჯიმანი და სამტრედიის ნაწილის ბოქაული, გუბერნატორი ჩამოხტა ეტლიდგან სოფლის სამმართველოსთან, სადაც უცდიდა საზოგადოება და მათი წარმომადგენელნი. აქ მამასახლისმა ნ. ტაბიძემ მიართვა პურ-მარილი; კეთილ მოწყვე მღვდელმა ი. მამფორიამ წაუკითხა გუბერნატორს მოხსენება რიონ-გაღმის კუთხის სხვა და სხვა საჭიროების და მდინარე რიონზედ ხიდის შესახებ. გუბრნატორმა აღუთქვა ხალხს, ვიშუამდგომლებო. შემდეგ ტობანიერის ორკლასიან სასწავლებლის მზრუნველმა მღვდელმა მ. მამფორიამ საზოგადოების სახელით მიართვა თხოვნა, რათა იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ სასწავლებელს ორი მასწავლებელი მაინც ეყოლოს ხაზინის ხარჯით, რადგან საზოგადოება ხუთსავე მასწავლებელს თავისის ხარჯით ინახავს. სოფლის სამმართველოდგან გუბერნატორმა გასწია პირდაპირ სასწავლებელში. ეზოში ყველა მოსწავლეები მასწავლებლებითურთ მწკრივად იდგნენ. გუბერნატორმა სალამი მისცა მოსწავლეებს, მოსწავლეებმა ერთხმად მადლობა გადუხადეს. შემდეგ წარუდგა სასწავლებლის ზედამხედველი ვლ. ნაცვლიშვილი და მიართვა საპატიო რაპორტი სასწავლებლის მოკლე ანგარიშით. რაპორტის მიღების შემდეგ მოსწავლეებმა იგალობეს „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, რომლის შემდეგაც გუბერნატორმა ხმა-მაღლა წარმოსთქვა სურვილი ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობისა და გამარჯვებისა და დასძახა «ურა»; მოსწავლეებმაც წარმოსთქვეს რამდენჯერმე «ურა», ბოლოს შევიდნენ თავიანთ კლასებში და გუბერნატორმა დაათვალიერა ყველა კლასები, ჰკითხა ცოტ-ცოტა მოსწავლეებს რუსულ ენაში. მეორე კლასში ყოფნის დროს გუბერნატორმა ჰკითხა ზედამხედველს, დედა ენას თუ სწავლობთო, და, როდესაც მიიღო პასუხად, „დიახ ვსწავლობთო», მაშინ გუბერნატორმა ამოაღებინა ჩანთიდგან მოსწავლეს ქართული წიგნი „ბუნების კარი“ და წააკითხა რამდენიმე სტრიქონი, შემდეგ მეორე მოსწავლეს გამოჰკითხა შინაარსი რუსულად. სასწავლებელი მოეწონა გუბერნატორს და ზედამხედველს შემდეგი უბრძანა: „მესიამოვნა ამ სასწავლებლის ნახვაო». კლასების დათვალიერების შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველმა მიიწვია საპატიო სტუმარი მხლებლებითურთ თავის ოთახში საუზმეზე. საუზმობა ერთ საათზედ მეტს ხანს გაგრძელდა. 12 საათზედ გუბერნატორი წაბრძანდა ვანის საზოგადოებაში.

ვლადი. ბზვანელი.

# რ უ ს ე თ ი

—

**კიევი.** (საკუთ. კორესპ.). ამ დღეებში ადგილობრივ ქართველთა პაწია საზოგადოებას მოშორდა ერთი საუკეთესო ახალგაზდა ქართველი, მაგრამ ეს დაშორება აქაურებს გულს გვიხარებს: ახალგაზდა ქართველმა აქაურ ქართველთა საზოგადოებას თავი დაანება და გასწია იქეთკენ, სადაც არსებობს ქართველი ერი. ქართველებს სჭირია ასეთი მოღვაწენი, როგორიც 9 ენკენისთვეს გამოემგზავრა საქართველოში, ეს ახალი მომავალი მოღვაწე ქართველთა საზოგადოებისა, შიო ალექსის ძე ჩიტაძე, კიევში რამდენიმე წელიწადია მოღვაწეობს—როგორც ადგილობრივ გიმნაზიებში რუსულ ენის მასწავლებელი და წევრი სხვა-და-სხვა სასარგებლო საზოგადოებათა. აწ, როგორც იცი, მკითხველო, ჩიტაძე ტფილისის თ.-აზნაურთა სკოლაში იქნება რუსულ ენის მასწავლებლად.

კიევის საზოგადოება მეტად გულ-დაწყვეტილი დარჩა, მეტად ეწყინა ჩიტაძის ჩვენის ქვეყნისკენ გამგზავრება. ჩიტაძისთანა მოღვაწის დაშორება მართლაც რომ საწყენია,—ასეთის გულწრფელის, ენერგიის და ზნეობრივ ძალის პატრონის, ბეჯითის და საქმის მოყვარე ადამიანის შეძენა ადვილი არ არის

აქაურმა საზოგადოებამ ღირსეულადაც დააფასა ბ ნ ჩიტაძის არა-ჩვეულებრივი მოღვაწეობა. საზოგადოების სხვა და სხვა დაწესებულება-ამხანაგობამ ბ. ჩიტაძეს, დაუსრულებელ საერთო ნადიმის გარდა, რომელიც ერთის კვირის განმავლობაში იმართებოდა, მიართვა რამდენიმე ოქროს «ჟეტონები» საყურადღებო და სასიქადულო წარწერებით (სხვათა შორის, ერთზე აწერია «ჩვენს სიამაყეს»); ვერცხის მოჭედილი ალბომები თანამოღვაწეთა სურათებით და სხვა. აქაურმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ ბ. ჩიტაძე აირჩია საპატიო წევრად და მიართვა ადრესი. მაგრამ ყველა ეს სასიქადულო პატივისცემა, არა ჩვეულებრივ მოღვაწეობით გამოწვეული, სდუმს იმ საერთო აღტაცებულ სიყვარულთან, რომელიც შექმნა ახალგაზრდა მოღვაწე ქართველმა ყველგან ეროვნების მიუხედავად; «ჩვენი ძვირფასი შიო“! აი რა სახელით მონათლეს აქ ბ. ჩიტაძე და როგორ ექცეოდნენ მას.

ამიტომ გვიხარის აქაურ ქართველებს ჩვენის შიოს მანდ წამოსვლა, ვიცი, რამდენათ ღარიბია ასეთებით ჩვენის ერის ყანა-მიდამო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, როგორც მოწმენი ჩიტაძის აქაურ მოღვაწეობისა, —შიო ჩიტაძის შრომა სამშობლო ქვეყანაში უფრო ძლიერად იჩენს თავს, უფრო ფართოდ გაიშლება და ერთხელ კიდევ დაუმტკიცდება ჩვენს საზოგადოებას, თუ რა შეუძლია ცოდნა-ბეჯითობას და გულწრფელობას.

მაგრამ ყველა ასეთ მოღვაწეს თვით საზოგადოებაც უნდა უწყობდეს ხელს... ვისთვისაც ასეთი ადამიანი ლამპარს აანთებს, იმათ არ უნდა მოისურვონ სინათლის მოსპობა... ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითი, როდესაც საზოგადო მოღვაწეს თავიდანვე შხამით მოწამლავენ; ეს გარემოება-კი უბედურებაა... ასეთმა ვითარებამ ახალგაზდა მოღვაწე თუ არ გააქცია, შეაფერხებს მაინც, გულს გაუტეხს... მერე, მერე-კი საზოგადოებას ვაზიანებთ...

აქ მყოფი საზოგადოება თუ ქართველ ერს უგზავნის გულწრფელს და გამოცდილ ახალგაზდა მოღვაწეს, სავსეს საჭირო ძალ-ღონით, მანდაურმა საზოგდოებამ უნდა მისცეს მას ღირსეული სალამი, გაუმართლოს აქ აყვავებული იმედები და განახორციელებინოს შორიდან შედგენილი მშვენიერი აზრ-გეგმა.

ყოველივე ეს, ბატონებო, მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენ პატივის ცემით მოვეპყრობით საზოგადოდ ყველა ღირსებით სავსე მოღვაწეს და მასთან ახლოს ყოფნით არა თუ ხელს შევუშლით მის საუცხოვო და სასარგებლო შრომას, არამედ მივაწვდენთ იმ დახმარებას და წყაროს წყალს, რომელიც ამხნევებს და ძალას ჰგვრის დროებით დაღლილს.

მიხაქია ბოლქვაძე

### ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«რუს. ვედ.»-მა ფრიად გონივრული და სიმპატიური მეთაური წერილი უძღვნა ჟურნალ-გაზეთობის მდგომარეობას საზოგადოდ რუსეთში და პროვინციისას კერძოდ. საბაბი წერილისა არის სიტყვა ახალის შინაგან საქმეთა მინისტრის თ-დის სვიატოპოლკ-მირსკისა, წარმოთქმული ვილნოში, როცა იქაური მწერლობის წარმომადგენელნი გამოეთხოვნენ მინისტრად დანიშნულს.

მინისტრმა სთქვა, რომ დიდს მნიშვნელობას ვაძლევ მწერლობას, ჟურნალ-გაზეთობას, მეტადრე პროვინციისასაო.

მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ მწერლობას, თუ გულ-წრფელად და კეთილ-სურვილებით ემსახურება ქვეყნის საჭიროებას, დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან, სხვათა შორის, იმითაც, რომ დაეხმარება მთავრობას ქვეყნის მართვა-გამგეობის ძნელ საქმეში. მუდამ მომხრე და მოკეთე ვიყავ პროვინციის ჟურნალ-გაზეთობისა, როცა კი გულ-ახლდით, გულ-წრფელად და გულ-კეთილობით არკვევდა, რაც საჭიროებას ჰქონდა და რაც აწუხებდა ქვეყანას. მომხრე და მოკეთე ვიქნები კვლავაც.

ასე ილაპარაკა მინისტრმა, რომლის ხელშია, სხვათა შორის, მწერლობის ბედიცა. ეს ლაპარაკი მარტო სიტყვები არ არის და დამყარებულია იმ მოკეთობასა და მეგობრობაზედ, რომელიც გაუწევია ვილნოს გუბერნიაშით. სვიატოპოლკ-მირსკის მწერლობისათვის. იქაურს ჟურნალ-გაზეთობას ნება ჰქონდა უფრო თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრები მის დროს, ვიდრე წინად.

ეს სიტყვა საყურადღებოა იმითაცა, რომ პროვინციის მწერლობა დღემდე არ უყვარდათ. ეგ იყო, ითმენდნენ იმის არსებობას, რაკი მეტი ღონე არ იყო, თორემ თავზედ ხელს არავინ უსვამდა. მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდათ მწერლობა, როცა გაზეთს ან ჟურნალს საეჭვოდ და არა-კეთილ-საიმედოდ დასახავდნენ, ხოლო იმ მხრივ-კი ყურადღებას არავინ აქცევდა, თუ რაოდენად ემსახურებოდა მკვიდრთა ინტერესებს, ქვეყნის წარმატებისა და განათლების საქმესაო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი და შემდეგ განაგრძობს:

ღვაწლი მწერლობის მთამაგეთა, სარგებლობა, რომელიც აქ მთამაგეთ მოაქვთ, შრომა და ოფლი, ნიჭი და ცოდნა, მათ მიერ გაწეული, გაბედვა ამისთანა საქმეში ფულის ჩაყრისა და სიძნელე მისის წარმოებისა,—ყოველივე ეს უგულებელ ყოფილი იყო. გარნა სამაგიეროდ მათ უფრო სასტიკად დაუწესებდნენ ხოლმე დევნას მწერლობის ორგანოებს ისეთის ღონისძიების მიღებით, რომელსაც ეწოდება ღონისძიება ფრთა-შეკვეცისა, შეშინებისა და დასჯისა. ჯერ მარტო დაარსება გაზეთისა პროვინციაში რაოდენად ძნელია, არა მარტო ტეხნიკურად, არამედ იმიტომაც, რომ ნება-რთვის მიცემა დამოკიდებულია მწერლობის საქმეთა მთავარ-სამმართველოს დათანხმებაზედაც და ადგილობრივ მთავრობის მოხსენებაზედაც. თვით გაზეთის ბეჭდვას მუდამ თვალყურს ადევნებს ადგილობრივი ადმინისტრაცია და მახლობელი მთავრად ცენზორიცა... ხშირად ესეც საკმაოდ არ მიაჩნიათ და გაზეთს მაინც სასჯელი არ ასცდება ხოლმე. თუ საზოგადოდ მწერლობის მდგომარეობა ჩვენში მტკიცე არ არის და საშურველია გამოირკვეს უფრო ცხადად მისი უფლება, პროვინციის მწერლობის ყოფა ხომ ამ მხრივ უფრო სავალალოა და არა უზრუნველ-ყოფილი. მისი ბედი და უბედობა ხშირად მოულოდნელ შემთხვევაზედ დამოკიდებული არის, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ადმინისტრაციის თვითნებობაზედ.

თუმცა ასეთია მდგომარეობა გაზეთებისა პროვინციაშიო, ამბობს შემდეგ გაზეთი, მაინც ჩნდებიან კაცნი, რომელნიც არც სიძნელეს უყურებენ, არც შიშს, რომ შესაძლოა თავიანთი ქონება შიგ ჩაჰლუპონ, არც იმას აქცევენ ყურადღებას, ასეთს გარემოებაში წარმატებით ბეჭდვა გაზეთისა ძალიან საეჭვოა, ათასი უსიამოვნება და ზარალი მუდამ მოსალოდნელია, მაინც ჰბედავენ შესწირონ ამ საქმეს თვისი ნიჭი, თვისი ცოდნა, დრო, ქონება. თუმცა მრავალი სამწუხარო მაგალითები თვალ-წინ უდგიათ, მაგრამ მაინც კვლავ აარსებენ და აწარმოებენ იმას, რაც წყაროა ცოდნისა, სიკეთისა და სინათლისა; აარსებენ და აწარმოებენ იქ, სადაც ისეთი სიბნელე და წყვდიადია, უმეცრება და ბარბაროსობა დამკვიდრებულა. აარსებენ, აწარმოებენ, არკვევენ ჩვენს საჭირ-ბოროტო საგნებს, რა გვილხინს და რა გვიჭირს, რა გვწვავს და რა გვტკენს გულს, რა გვწყურიან, რას ვეტრფით.

ასეთი სამსახური მათი, რასაკვირველია, ყოვლად სასარგებლოა ჩვენის საზოგადო ცნობიერების ზრდისათვის, ჩვენის გამოფხიზლებისათვის. მართალია, ძნელია წარმოება გაზეთისა პროვინციაში, მაგრამ მაინც პროვინციის მწერლობა, თითო-ოროლა გაზეთს თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ, პატიოსნად და კეთილ-სვინიდისიერად ასრულებს თავის ძნელს მოვალეობას, სცდილობს ემსახუროს მკვიდრთა საჭიროებას, მის სულიერს ინტერესებს და ავრცელებს სიმართლისა და სინათლის აზრებს.

დასასრულ, გაზეთი ამბობს, რომ არ უნდა იყოს სხვა და სხვა კანონი მოსკოვ-პეტერბურგისა და პროვინციის ჟურნალ-გაზეთებისათვისა. შეუძლებელია ორი საზომი სიმართლისა, მართლიერებისა: ერთი ვითომ სამეუფო ქალაქებისათვის, ხოლო მეორე—პროვინციისათვის. იქაცა და აქაც ერთნაირი კანონ-ღონისძიებაა საჭირო, თანაბარი პატივისცემა საზოგადოებისა და თვითოეულის მისის წევრის უფლებისა, თანაბარი სამზღვარნი თქმა-ლაპარაკისა და თავისუფლებისაო.

### წ ე რ ი ლ ი

#### რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომრის საშუალებით გამოვუცხადო უგულითადესი მადლობა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, ნიკოლოზ გიორგის ძეს ბ-ნ ყაზბეგს, რომელმაც კეთილ-ინება და შესწირა ჩემ მიერ ახლად ნაკურთხ ახალციხის (დუშეთის მაზრა) ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესიას 30 მანეთი.

დუშეთის მაზრის მეოთხე ოლქის ბლაღოჩინი, მღვდელი ვას. კოზმოვი.

### დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 სეკდემბერი

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ადიუტანტის სტესელისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე, 10 სეკდემბრის თარიღით: „მაქვს ბედნიერება მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ ოთხის დღის იერიში მტრისა მოვიგერეთ და მტერს დიდი ზარალი მივეცით. 6 სეკდემბრიდან 10 სეკდემბრამდე 5 საათამდე იაპონელებმა ძრიელად ისროლეს ყუმბარები და იერიში მოჰქონდათ ჩრდილოეთ და დასავლეთ წინა სიმაგრეებზე. ყველა იმათი იერიში, ერთი ერთმანეთზე მიტანილი, უკუ ვაქციეთ, იმათ დარჩათ მხოლოდ ორი საბარო სიმაგრე, რომელიც ყუმბარებით სულ დავანგრიეთ. წყლის მილი იმათ დაანგრიეს. მაღალი მთიდან დღეს დავაბრუნეთ. ამ მთაზე იმათ ზარბაზნები აიტანეს და ესროდნენ ჩვენებსა. გენერალმა კონდრატენკომ გაგზავნა იქ ლეიტენანტი პოდგურსკი, რომელიც პოლკოვნიკ ირმანის ჩვენებით ისროდა ყუმბარებს შიგ სანგრებში და ააფეთქა იქაურობა. იაპონელები შიშმა მოიცვა და გაიქცნენ. მეხუთე პოლკის შტაბს-კაპიტანი სიჩევი დაედევნა იმათ. პოლკოვნიკი ირმანი ამბობს, პოდგურსკიმ განდევნა იაპონელნი მაღალ მთიდან. 10 ათასი კაცი დაუზარალდათ იაპონელებსა; ყველამ თავი იჩინა. უფრო თავი იჩინეს გენერალმა კონდრატენკომ, პოლკოვნიკმა ირმანმა, მეხუთე პოლკის შტაბს-კაპიტანმა სიჩევმა და ლეიტენანტმა სიჩევმა. ჯარები გმირულად იბრძვიან. განსაკუთრებით გაიმარჯვა მე-5 პოლკმა. ყველა გამსჭვალულია იმ აზრით, დაიცვას რუსეთის სიმაგრე შორეულ-აღმოსავლეთში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე».—17 სეკდემბრის თარიღით: «სისხლის მღვრელ იერიშების შემდეგ ციხეში მყუდროება ჩამოვარდა; 10 სეკდემბერს იაპონელნი გარეკა ლეიტენანტმა პოდგურსკიმ. ზარბაზნის სროლა ისევ არის. ციხიდან ხშირად თავს ვესხმით; უკანასკნელ იერიშის უკუქცევა სულ ლეიტენანტ პოდგურსკის, გენერალ კონდრატენკოს, პოლკოვნიკ ირმანის და შტაბს-კაპიტან სიჩევის საქმეა. ჯარი გმირულს გუნებაზეა. დაჭრილნი რჩებიან და ისევ ჯარში ბრუნდებიან. ღმერთსა ვსთხოვთ, მოგანიჭოთ დღეგრძელობა და გამარჯვებ».—უქვეშევრდომლესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მის უდიდებულესობის სახელზე, 19 სეკდემბრის თარიღით: „საჩივარი შემოვიდა, ვითომ ჯარებს გაეკაფნოთ ტყეები ფულინში, სადაც იმპერატორთა სავანეა. მე ვნახე ჭალა და ყოველივე ტყუილი აღმოჩნდა. გამოვკითხე ჩინელებს, რომელნიც იცავენ საფლავებს; ისინი არავითარსამე საყვედურს არ აცხადებენ. ჯარები მხოლოდ სწმენდენ გზებს. კორპუსის კომანდერმა შტაკელბერგმა მოსთხოვა აზრი საიმპერატორო სავლავების ზედამხედველს; როგორც აღმოჩნდა ჩემ მიერ გამოძიებით, ფულინში ცუდად ინახავენ საფლავებსა; გალავანი ბევრგან ჩამონგრეულია, შიგნით საქონელი დადის და სძოვს. ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ ამ ადგილების გამგე მანჯურიელი ფიუონი დღეს ციხეში ამწყვდევიათ, რადგანაც ტყე მიუყიდნია მუკდენელებისათვის. ამას უქვეშევრდომლესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას».

**მოსკოვი,** 21 სეკდემბერი. მოსკოვის ერობის რწმუნებული პროფესორი გოლოვინი, რომელიც ლოშანგოუში მოსკოვის სანიტარების წარმომადგენელი იყო, ამბობს, ჯარი ჯანსაღად არის და გადამდები სენი არ არის; ცოტაოდნად იყო სახადი და მუცელა. ჭრილობა ანთებით არავის დამართნია. ჩინელები სურსათს იძლევიან. ლოშანგოუს მიდამოებში ხუნხუზების ხსენება არ არის. ერობის ლაზარეთები კარგს ადგილებშია, კარგს ჰაერში, მდინარის პირად.

**ხარბინი,** 22 სეკდ. (საკუთ. კორესპ.). ცნობა არის, რომ 19 სეკდემბერს მტერმა დაიწყო ზედ-მოსევა შუბლის ჯარების წინა რაზმებით. შუბლი გაჭიმულია ხუნხედან, მუკდენიდან ბენსიხუს მიმავალ გზამდე. მტერი ყველგან უკუქცეულ-იქმნა.

20 სეკდემბერს მოხსენება არა მოსულა-რა შებრძოლების თაობაზედ.

ცნობა გვაქვს, რომ იაპონელთა ყველა იერიში პორტ-არტურთან 5—13 სეკდემბრამდე უკუ-ქცეულ იქმნა ციხის სახელოვან დამცველთა მიერ. ჩვენ დავცალეთ მხოლოდ ზოგიერთი მოწინავე საფარ-სანგარი, რომელიც ნანგრევებად არის ქცეული. ეს საფარ-სანგარნი შუა ალაგას არის და აქეთ-იქიდან ჰხვდება ყუმბარები სხვა სანგარებიდან. ამიტომ მტერი ვერ დაიჭერს.

თვალით-მნახველნი, რომელნიც პორტ-არტურში იყვნენ აგვისტოს იერიშების დროს, ჰმოწმობენ, რომ ბრძოლა ორივ მხრივ არ გაგონილის გამძვინვარებით სწარმოებსო: საკერპოს სანგარის იერიშის დროს თითქმის მთლად ამოწყდა მე-9 დივიზია იაპონელთა; გვამები დახორავებული იყო და ზოგან ექვსი კაცი იყო ზედი-ზედ ახორავებული; ყველა დაჭრილი, რომელსაც თვითონ არ შეძლო გასცლოდა ბრძოლის ადგილს, დაიღუპა. საკვირველი გმირული დაცვა პორტ-არტურისა თვით ჩვენს ჯარსაც კი აოცებს. სული და გული დაცვის საქმისა გენერალი სტესელია და მისნი ღირსეულნი თანამოღვაწენი გენერლები კონდრატენკო და ფოკი, საოცარნი მამაცობითა, მოხერხებით და ჯარზედ დიდის გავლენის მოპოვებით. საინჟენერო საქმეებში დიდი ღვაწლი მიუძღვის თვისის მოხერხებით დალნის ქალაქ-პეტად ნამყოფს სახაროვს.

**ხარბინი,** 22 სეკდ. (საკ. კორესპ.). პორტ-არტურის მეციხოვნენი ძალიან გულ-მტკიცედ არიან. და სწორედ ამ გულ-მტკიცეობით არის უძლეველი ციხე. როცა სამგლე მთები დავცალეთ და გენერ. ფოკის მეორე დივიზია, რომელიც ორის თვის განმავლობაში გმირულად იგერიებდა იაპონელთა სამს დივიზიას, დაბრუნდა ციხის მიდამოებში. გენერალმა სტესელმა ცერემონიალურის მარშით გაატარა ეს ჯარი, თუმცა ყუმბარები მტრისა ზუზუნით მოდიოდა. სურსათი პორტ-არტურს საკმაოდა აქვს. მცველნი ციხისა და გმირნი იმ აზრისანი არიან, რომ ციხე ხანგრძლივს გარ-შემოდგომას გაუძლებს. ყველა ის ცნობა, რომ ვითომ პორტ-არტური დიდს გაჭირვებაშიაო, იაპონელთაგან მომდინარეობს და უმეტეს ნაწილად მოგონილ-მოჭორილია. იაპონელთა ზარალი 6—13 სეკდემბრამდე 10,000 კაცამდეა.

**სოფია.** მაკედონიის ორგანო «რეფორმი» ამბობს, რომ უავტონომიოდ მშვიდობა, მაკედონიაში შეუძლებელიაო. 21 სეკდემბერს დაიბეჭდა მემორანდუმი მაკედონიის შინაგან ორგანიზაციის შესახებ. მემორანდუმში მოთხრობილია ისტორია მაკედონიისა ამ ათის წლის განმავლობაში. ბოლოს ნათქვამია, რომ ეს ორგანიზაცია განაგრძობს ბრძოლას იმ დრომდე, ვიდრე არ განკარგდება ცხოვრება მაკედონიისა და არ დამკარდება კანონიერებაო. განზრახვა ისეა, რომ მაკედონიის მართვა-გამგეობა ხელში ეჭიროს ევროპიელს და კონტროლის კომისიას.

**მუკდენი,** 22 სეკდემბერი. გენერალმა კუროპატკინმა მტკიცედ გადასწყვიტა გამოიყენოს ახლანდელი კარგი დარი და ამინდი. მარშალ ოიამას ჰყავს ახალი სულ 13 დივიზია და 11 სათადარიგო ბრიგადა.

23 სეკდემბერი.

**პეტერბურგი.** შავ ჭირთან და ხოლერასთან საბრძოლველად უმაღლესად დაარსებული კომისია აცხადებს: «12-დან 19 სეკდემბრამდე იმიერ-კასპიის მხარეში ხოლერით ავად გამხდარა 11 კაცი და მოკვდა 3. ხოლერით ავადმყოფობა იყო მერვსა, ასხაბადსა და ჰასანყულში, შუა აზიის რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ. ამას გარდა ხოლერით ავადმყოფობა აღმოჩენილ იქმნა ჯავარბაის მინდვრებში, სადაც 12 დგან 19 სეკდემბრამდე ავად გახდა 9 კაცი, ბაქოში 14-დან 21 სეკდემბრამდე ავად გახდა 111 კაცი, მოკვდა 61. სარატოვში 14-დან 21 სეკდემბრამდე ხოლერით ავად გახდა 13, აქედგან 5 მოკვდა.

პოდპოლკოვნიკი მინუტი დანიშნულ იქმნა აღმოსავლეთ ციმბირის მე-6 მსროლელ დივიზიის შტაბის უფროსად.

**ვაშინგტონი.** შტატების ევროპაში მყოფმა წარმომადგენლებმა რუზველტი დაარწმუნეს, რომ სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა რუსეთ-იაპონიის ომის გათავებამდე უადგილოაო.

**მოსკოვი,** 22 სეკდემბერი. მოვიდა გენერალი ველიჩკო. ველიჩკოს უკვირს, რომ აქ სასოწარკვეთიათ რუსების დამარცხების გამო და ის კი არ ესმით, რომ, თუმცა რუსები უკან იწევენ, მაგრამ იაპონელთ მაინც ზარალს აძლევენ. რუსებმა ომი დაიწყეს მცირე ჯარებით იმ ადგილებში, რომელიც ინჟენერებისაგან მოუმზადებელი იყო ომისათვის. საჭირო შეიქმნა მრავალ პოზიციათა გამაგრება. ზოგიერთ მათგანით უკვე ვისარგებლეთ, ხოლო ზოგი კი მივატოვეთ. ჩვენ ლიაოიანთან ფორტებზედ დავკარგეთ სულ 300 კაცი, იაპონელთ კი ათასობით დაჰკარგეს. იაპონიის ლაშქარი კინაღამ დავამარცხეთ ლიაოიანთან. იაპონელთ უშველა მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ—შესძლეს ჩვენის ლაშქრის გარშემოვლა ტელინისაკენ. გენერალს არა სჯერა, რომ ასეთი ხანგრძლივი უმოქმედობა იაპონელთა ლიაოიანთან დიდის ზარალის ბრალი იყოს. ბრძოლის ველზედ ყველასა სჯერა, რომ ომი ჩვენის გამარჯვებით გათავდება და ყველანი ენერგიით სავსენი არიან.

**ბელგრადი,** 21 სეკდემბერი. მეფე, სასახლის კაცნი; ამალა და მინისტრები გაემართნენ ჟიჩის მონასტერში, სადაც მოჰხდება მეფის მირონცხება. მეფისა და ბულგარიის მთავრის შეხვედრას აფერხებს ის გარემოება, რომ მთავარს სურს შეხვედრა მოჰხდეს ეუქსინოგრადს, ხოლო ბელგრადში უმჯობესად სთვლიან, რომ მეფე და მთავარი ერთმანერთს შეჰხვდნენ სოფიაში, ან რომელსამე სხვა მოსამზღვრე ქალაქში. სერბიული და ბულგარიული გაზეთები ოცა ბოდოს ედებიან და ერთმანერთს ამტყუნებენ.

**შანჰაი,** 22 სეკდემბერი. (რეიტერი). ჩინეთმა მანჯურიის მეფის-მოადგილედ დანიშნა ჩენგიუნი. იაპონია დასთანხმდა ამ დანიშნულებაზედ.

**ჩიფუ,** 22 სეკდემბერი. (რეიტერი). მოვიდა გენ. სტესელისაგან ცნობა, რომელიც ჩინურადაა დაწერილი ქაღალდის ნაგლეჯზედ. გენერალი იუწყება, — 13 სეკდემბერს პორტ-არტურში მშვიდობიანობა იყოო. იაპონელთ ხელახლა ითხოვეს დროებითი ზავის ჩამოგდება, რათა დახოცილები მიწისთვის მიებარებინათ, მაგრამ ეს თხოვნა უარყოფილ იქმნა. სხვა წყაროებიდგან იუწყებიან, რომ ბრძოლა 11-სა და 12 სეკდემბერს განახლდაო.

მტერმა კვლავ მოიტანა თავგანწირული იერიში და სცადა აეღო „მაღალი მთა“, ერთ უმთავრეს სიმაგრეთაგანი. რუსებმა დაუშინეს ტყვიის მფრქვევლები და არიეს მტერი. ამ გამარჯვებით გამხნევებული რუსები გამოვიდნენ სიმაგრეებიდგან და დაედევნენ მტერს, მაგრამ ამ დროს იაპონელთაც დაუშინეს ტყვიის მფრქვევლები. პირველად იაპონელთ გამოიტყუილეს სადგომებიდგან რუსები და დიდი ზარალიც მისცეს. მეორე დილას ბრძოლის ველი საშინელ სანახაობას წარმოადგენდა.

**ტოკიო**, 22 სეკდემბერი. (რეიტერი). ყველაფრიდან სჩანს, რომ ომის ბედის გადამწყვეტი სამხედრო მოქმედებათა ბაზად იქნება სამკუთხედი მოედანი, რომლის მაღლობიც ტელინს უჭირავს, მდინარე ხუნხეს გაყოლებაზედ, მუკდენიდან დაწყებული ფუშუნამდე. მუკდენის ჩრდილოეთით იმყოფება ილუ, ციცაბო მთებით დაცული. რუსები გამაგრდნენ აქ და ააგეს სიმაგრეები. მდ. ილუ, რომელიც ქალაქში მიმდინარეობს, ღრმა არაა. რუსები ამაგრებენ მისს მარჯვენა ნაპირს ილუსა და ლუხეტუნს შუა და თხრილებსა სთხრიან ბევრგან ლუხეტუნსა და ტელინს შუა. ქ. ტელინი აღმოსავლეთით დაცულია სანგრებითა და მდ. ტელინით, რომელზედაც ფონით გადასვლა შეუძლებელია. რუსებს ფუშუნში ბევრი ჯარი ჰყავთ. ჰფიქრობენ, რომ ეს ჯარები გზე-ბზედ სიმაგრეებს აგებენ ტელინისკენ. როგორც განზრახულ მუშაობიდგანა და რუსის ჯარის დაბანაკებიდგანა სჩანს, კუროპატკინს აზრადა აქვს, შეუშალოს ხელი მდ. ხუნხეზედ ოიამას გადასვლას და შეებრძოლოს იმ ადგილას, რომელსაც ახლა გაჩქარებით ამაგრებენო.

**ჩიფუ**, 22 სეკდემბერი. (რეიტერი). იაპონელები აცხადებენ, რუსების ცნობები პორტ-არტურთან ჩვენის დანაკარგის შესახებ ნამდვილი არ არის. ამბობენ, თუმცა უკანასკნელ იერიშის დროს იაპონელთ ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ ციხეს მაინც ავიღებთ და ეს გაუმარჯვებლობა ვერაფერს იმოქმედებს.

**პეტერბურგი**. გენ.-ლეიტენ. სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 22 სეკდემბერის თარიღით: «21 სეკდემბერს მტრის 4 როტამ და ერთმა ესკადრონმა შეავიწროვა ჩვენი საყარაულო ხუილინპუსთან, რკინის გზის მახლობლად დასავლეთით მდებარე. საყარაულო გამაგრებული იყო და ჩვენი ცხენოსანთა რაზმი გამოემართა დასავლეთიდგან ზედ-მოსეულ მტრის უკან და აიძულა მტერი უკან დაეწია ზარალით ტადკსამპუსკენ. ჩვენი მზვერავთა რაზმი 21 სეკდემბერს მიუახლოვდა 4 — 5 ვერსზედ იანთაის მღვიმე-მაღაროებს ჩრდილოეთით. ამ რაზმის მოწინავე ნაწილის დანახვაზედ იაპონელთა 4 ესკადრონმა და სამმა როტამ საჩქაროდ უკან დაიწია. საღამოს 6 საათზედ ჩვენმა ცხენოსანმა გულდასმით დაათვალიერეს მტრის პოზიციები და დაბრუნდნენ ბინაზედ. ერთი ყაზახი მოგვიკლეს და ერთი აფიცერი და ორი ყაზახი დაგვიჭრეს. მტერმა ნახა ზარალი და ორი დრაგუნი ტყვედ წამოვიყვანეთ».

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

21 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,37½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91½ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88¾ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 386½ წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 305 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 256 ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 ნ. გაყ. |

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.): სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

---

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავად მყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**სათიხაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს. საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათიშვილი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი**:

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები**:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ზ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის საერთო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—12)

---

**საუკეთესო სააგარაკო ადგილები**

**ზედ სურამის მახლობლად**

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

**ი ყ ი დ ე ბ ა**

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10



ვერცხლისა



ოქროსა



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გადღესილ საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადოლფ თუთაევე, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღლის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—20)

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

**„ნ ა დ ე ჟ დ ა“**

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | | |
|---|---|---|
| **მარითადი** | **თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარის** | **გო თანხ** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უძრავ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

**თ**ისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**

(5—6—)